ოქმი:**ო12.37222431**
თარიღი:**31/08/2022**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : ხ. ცერცვაძე, დ. მდინარაძე, ხ. თავდიშვილი, ს. ქარცივაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე, ბ. მელუა, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ .

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე, მისი მიღების მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, რომლის დროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ- საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი- წარმოადგინა პროექტში ცვლილებების შეტანის მიზნით წინადადებები, შემდეგ კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ეს წინადადებები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება პროექტში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“, ცვლილებების შეტანის შემდეგ, წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი